

**ზესტაფონის ფარო** - ქარხანის გაფრქვევები ქვეყნის მთლიანი სამრეწველო გაფრქვევის 32,3% შეადგენს. ზესტაფონში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეგულარული მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ მანგანუმის ორჟანგის საშუალო წლიური კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აჭარბებს მის ზღვრულად დასაშვებ ნორმას. გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მიმდინარეობს მტკვრდამჭერი სისტემების პროექტირებისა და მონტაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ღონისძიებების შედეგად ჰაერის ხარისხი ქ. ზესტაფონში 2013 წლიდან ნორმის ფარგლებში უნდა მოექცეს“. თუმცა, მანამდე ზესტაფონის მოსახლეობა პერიოდულად ე.წ. „ხალკური გაფრქვევების“ მომსწრე ხდება. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ონკოლოგიურ დაავადებათა შემთავსებელი სტატისტიკური მაჩვენებლებია: 2007 წელს დაფიქსირდა ონკოლოგიური დაავადებების 982 შემთხვევა, 2008 წელს-1023, 2009 წელს-1067, 2010 წელს-1125, 2011 წელს-1133 შემთხვევა. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის თანახმად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ნებართვა 2010 წლის 1 იანვრამდე უნდა მოეპოვებინა. თუმცა, საწარმოს ნებართვა ჯერ არ აუღია, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტრო არ რეაგირებს კანონის დარღვევაზე.

**მადნეული** - მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალის საბადო მდებარეობს ბოლნისის რაიონში, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 80 კმ-ის დაშორებით. საწარმოს ფუნქციონირება უკვე ისტორიულად ასოცირდება გარემოს მნიშვნელოვან დაბინძურებასთან. კარიერის წყლები, რომლებიც გადმოტუმბვის პროცესში და კუდსაცავებიდან ხვდებიან მდინარე კაზრეთულაში და შემდგომ მდ. მაშავერადან გამომდინარე სარწყავი სისტემების მეშვეობით ხვდება ბოლნისის რაიონის სოფლების სავარგულებზე. კარიერის აღმოსავლეთით მიმდებარე ფერდზე დაყრილი გადასახსნელი ქანები, ინტენსიური ირეცხება ატმოსფერული ნალექებით და ფოლადურის ხეობას მიმე მეტალებით აბინძურებს, რაც იწვევს მთელი ეკოსისტემის: ნიადაგის, წყლის, მცენარის და ცოცხალი ორგანიზმების დაბინძურებასა და მოწამლვას.



**ურავის სამთო ქიმიური ქარხანა** - ურავის ქარხანა, ყველა დამხმარე ნაგებობა და ინფრასტრუქტურა ამჟამად დანგრეულია. ურავის ქარხნის საწარმოო ნარჩენების სამარხი, რომელიც მდებარეობს ქარხნიდან 14 კმ-ზე, არ არის დაკონსერვებული. სამარხის სახურავის ფილები ზოგან ჩანგრეულია, ნალექებით მოსული წყალი ხვდება ტოქსიურ ნარჩენებში, შემდეგ ჟონავს სამარხიდან და ხვდება გარემოში. ქარხნის ტერიტორიაზე, ურავში არის სამარხი, რომელიც დაკონსერვებულია, მაგრამ არ არის ჰერმეტიკულად დახურული, სახურავი დაზიანებულია. მდინარე ლუხუნის ადიდების შემთხვევაში შესაძლებელია საცავის კედლის გამორეცხვა. ასევე დანგრეულია „ჯვარზე“ თეთრი დარიშხანის გამოწვევის საამქროზე პრეპარატების და მეტალური დარიშხანის წარმოების გამწმენდი ნაგებობები. ამ ტერიტორიაზე მიტოვებულია დიდი რაოდენობით სამთო ქიმიური გადამამუშავების ნარჩენები, რომლითაც დაბინძურებულია გარემო და შესაბამისად, სერიოზული საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯანმრთელობას.

**სანას სამთო ქიმიური ქარხანა** - ცანის ქარხანა მთლიანად დანგრეული და დაშლილია. ასევე, მთლიანად დანგრეულია საამქროები, ადმინისტრაციული კორპუსი და სასაწყობო მეურნეობები. ტერიტორიის გარშემო აღარ არსებობს ღობე. მიწიდან ამოთხრილია და ამოღებულია დარიშხანის გამოსაწვავი ღუმელები და კონტეინერები. მოსახლეობამ ჯართისა თუ სხვა ნივთების ძებნის პროცესში, მოახდინა უკიდურესად მოწამლავი დარიშხანის და მისი მადნის მიმოხვევა მთელს ტერიტორიაზე. ასევე, მიმოფანტულია გახსნილი კონტეინერები მადნითა და კაფსულებით თეთრი დარიშხანით. ადგილობრივი მოსახლეობის მონაცემებით. ქარხნის ზემოთ ხეობაში ასევე განთავსებულია დარიშხანის მადნის დაახლოებით 800-დან 1000-მდე ღია კონტეინერი. ქარხანა წლების განმავლობაში აწარმოებდა დარიშხანის გადამამუშავებას, ხოლო პროდუქციას ძირითადად შეადგენდა უაღრესად ტოქსიური პროდუქტი As<sub>2</sub>S<sub>3</sub> ე.წ თეთრი დარიშხანი. ეს ნივთიერება წყალში ცუდად ხსნადია და წლების განმავლობაში პერმანენტულად შეუძლია უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა. ქარხნის ტერიტორია და მისი მიმდებარე ტერიტორია უკიდურესად დაბინძურებულია დარიშხანითა და მისი წარმოების ნარჩენებით.



**ჭიათურამანანაში** - ჭიათურის მოსახლეობა საუკუნეზე მეტია განიცდის ჭიათურაში მადნის მოპოვების უკიდურესად უარყოფით ზეგავლენას (მტკვრი, ხმაური, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება, ატმოსფეროში მავნე აირების გაფრქვევა). ჭიათურის მადარობისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების ექსპლუატაციის შედეგად გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი წლების განმავლობაში მრავალი გამოკვლევის საგანი ყოფილა, თუმცა სიტუაციის გაუმჯობესებისათვის დღემდე არაფერია გაკეთებული. წლების განმავლობაში ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების შედეგად ათასობით ადამიანმა დაკარგა ან დაუზიანდა საცხოვრებელი, საძოვრები, სახნავ-სათესი მიწები, ნარგავები, პირუტყვი და სხვა. 2006 წელს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის თანხმად, „ჭიათურამანანაში“ სამთო მინაკუთვნის ფართობი გაიზარდა 16 430 ჰექტარამდე გაიზარდა. ამჟამად სამთო მინაკუთვი მოიცავს ადრე აუთვისებელ საბადოებსაც. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტერიტორიები დასახლებულია და კომპანიის მიერ საბადოს ათვისების დაწყებასთან ერთად 3 ათასზე მეტ ოჯახს გადასახლება ემუქრება.



დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებათა ამსახველა



# საქართველოს აოცენსიური კომპანიური „სხალი ნარტილი“ - 2011

**ლაზიკა - საუაუნის პროექტი** - 2011 წლის 4 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ზუგდიდში სიტყვით გამოსვლისას მოსახლეობას ამცნო ახალი ქალაქის - ლაზიკის, მშენებლობის შესახებ უკვე მიღებული გადაწყვეტილება: „... გადაწყვეტით, რომ ანაკლიასა და ყულევს შორის დავაფუძნოთ ახალი დიდი ქალაქი, რომელსაც დავარქმევთ ლაზიკას. თბილისის შემდეგ, ლაზიკა სიდიდით მეორე ქალაქი იქნება, რომელსაც, ჩემი ვარაუდით, 10 წელიწადში, მინიმუმ, ნახევარი მილიონი მოსახლე ეყოლება. ... მომავალი წლის გაზაფხულიდან ანაკლიის გაყოლებაზე დავიწყებთ მასშტაბურ სამუშაოებს ახალი პორტის მშენებლობისთვის. ... დაჭაობებულ ადგილსაც დავაშრობთ - ასეთი მხოლოდ ერთი ადგილია და მისი დაშრობა პრობლემას არ წარმოადგენს. ... ეს არის ის, რაზე უკვე დავიწყებთ მუშაობა. გახსოვდეთ, რომ რასაც ჩვენ ვამბობთ, იმას ყოველთვის ვაკეთებთ“. პრეზიდენტის ეს განცხადება იყო „ყველაზე ამომწურავი“ ინფორმაცია ლაზიკას მშენებლობასთან დაკავშირებით, რადგან როგორც მოგვიანებით გაირკვა, არცერთი სახელმწიფო უწყება ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებულ რაიმე დოკუმენტს ან ინფორმაციას არ ფლობდა. პრეზიდენტის განცხადების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ რომ, ქალაქის მშენებლობა კოლხეთის ეროვნული პარკის მახლობლად (ან პარკის ტერიტორიაზე) იგეგმება. ყურადსაღებია, რომ კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორია, სადაც ქალაქის გაშენება დაგეგმილი „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“ (რამსარის) საერთაშორისო კონვენციითა არის დაცული.



**ხუმო-პსი** - პროექტის განხორციელების შემთხვევაში წყლის ქვეშ აღმოჩნდება დაახლოებით 530 ჰა ფართობის მქონე ტერიტორია, მათ შორის ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, სასაფლაოები, ეკლესია, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაუკუნოვანი ხაიშის ციხე და ხაიშში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, I საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლი. გაძლიერდება ბუნებრივი ჰაბიტატების, ტყეებისა და მდინარის ბინადარ სახეობათა დაკარგვის პროცესი, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების. იძულებით გადასახლებას დაექვემდებარება ხაიშის თემის 27 სოფლის 525 ოჯახი (1500 - 2000 ადამიანი).

**ნამახვანის კანალი** - პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდება დაახლოებით 924.4 ჰა ფართობის ტერიტორია, აქედან 300 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწები, 261.44 ჰა კი, ტყეები. მიკროკლიმატის ცვლილების გამო, პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდება უნიკალური ტვიშის ვენახები და დაგეგმილი ხვამლის დაცული ტერიტორია. გაძლიერდება ბუნებრივი ჰაბიტატების, ტყეებისა და მდინარის ბინადარ სახეობათა დაკარგვის პროცესი, მათ შორის, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების. გარდა ამისა, პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოექცევა რეგიონის 14 სოფელი, ხოლო გადასახლებას დაექვემდებარება 213 ოჯახი (790 ადამიანი).

**ღარიალის კანი** - პროექტი ითვალისწინებს მდინარე თერგის დაახლოებით 8 კმ სიგრძის მონაკვეთის წყლის გარეშე დატოვებას, ვინაიდან გათვალისწინებულია მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის, 90 პროცენტის, სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდება. სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე რადიკალურად შეიცვლება ლანდშაფტი და დაიკარგება ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურულ-ეთნოგრაფიული და ტურისტული ფასეულობა. პროექტს ექნება შეუქცევადი ზეგავლენა მდინარეზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილ ნაკადულის კალმახზე და გამოიწვევს მდ. თერგში ამ პოპულაციის გაქრობას, ასევე ზეგავლენას იქონიებს ყაზბეგის ეროვნულ პარკზე.



**აჭარის კანალი** - აჭარაში დაგეგმილი ექვსი ჰესის მშენებლობის შემთხვევაში, წყლის ქვეშ აღმოჩნდება 735 ჰა ფართობის ტერიტორია, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები და ტყის კორომები, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მოიმატებს ტენიანობა, რის გამოც, მნიშვნელოვნად გაუარესდება ტურისტული გარემო და შეიცვლება სოფლის მეურნეობის წარმოების პირობები; გაიზრდება წაყინვებით, გრიგალური ქარებით და სხვა საშიში ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზარალის რისკი. ჰესებს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ექნებათ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფორმირების პროცესზე, ვინაიდან მდ. ჭოროხი ინერტულ მასალას შავ ზღვაში, პრაქტიკულად, ვეღარ ჩაიტანს. გაძლიერდება ბუნებრივი ჰაბიტატებისა და მდინარის ბინადარ სახეობათა დაკარგვის პროცესი, მათ შორის, წითელი ნუსხაში შესული ისეთი სახეობების, როგორცაა ნაკადულის კალმახი, შავი ზღვის ორაგული, წავი, კავკასიური გველგესლა, მურა დათვი და სხვა.



დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებათა ამსახველად



[www.greenalt.org](http://www.greenalt.org)